

მუხლი 33 - ეროვნულ დონეზე კონვენციის განხორციელების და მონიტორინგის განმარტებითი ინდიკატორები
განხორციელება და მონიტორინგი ეროვნულ დონეზე

მახასიათებლები / ინდიკატორები	მახასიათებლები / ინდიკატორები	მახასიათებლები / ინდიკატორები	შეზღუდული შესაძლებლობობის მქონე პირთა ორგანიზაციების მონაწილეობა *
სტრუქტურა	<p>33.1 სამართლებრივ და/ან ნორმატიულ დონეზე, მთავრობაში ერთი ან მეტი საკონტაქტო უწყების განსაზღვრა (მთავრობის ყველა შტოში და დონეზე, ყველა სამინისტროში და ა.შ.), რომელსაც უქნება საკმარისი უფლებამოსილება, რათა მოახდინოს შმი პირთა უფლებების მეინსტრიმინგი, კონვენციის იმპლემენტაციის უზრუნველსაყოფად.ⁱ (მსგავსად 1/4.7)</p> <p>33.2 ეროვნულ დონეზე იმპლემენტაციის გასაუმჯობესებლად, სამართლებრივ და/ან ნორმატიულ დონეზე მთავრობაში საკონრდინაციო მექანიზმის განსაზღვრა, რომელიც ხელს შეუწყობს შესაბამის ქმედებებს სხვადასხვა სექტორებში და დონეებზე და უქნება მკაფიო სტრუქტურა, მანდატი, მართვის უნარი და საკმარისი უფლებამოსილება, რათა უზრუნველყოს შმი პირთა უფლებების მეინსტრიმინგი და კონვენციის იმპლემენტაცია.ⁱⁱ (მსგავსად 1/4.8)</p> <p>33.3 საკონტაქტო უწყებების და საკონრდინაციო მექანიზმების ფუნქციონირების, მათთან თანამშრომლობის და ჩართულობის შესახებ რეგულაციების და/ან ოქმების მიღება, რომელიც განკუთვნილი იქნება მთავრობის მოხელეებისათვის.</p> <p>33.4 რეგულაციების და/ან ოქმების მიღება, რომელიც განკუთვნილი იქნება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისათვის, განსაკუთრებით შმი პირთა ორგანიზაციებისათვის და რომელიც შეეხება საკონტაქტო უწყებებისა და საკონრდინაციო მექანიზმების ფუნქციონირებას და მათთან ჩართულობას.ⁱⁱⁱ</p> <p>33.5 სამართლებრივი და/ან ნორმატიული მოთხოვნა საბიუჯეტო რესურსების ხარჯვასთან დაკავშირებით მარკერის (ნიშნულის) შექმნის თაობაზე, რომლის მიზანია მონიტორინგის ჩარჩოს მექანიზმ(ებ)ის საქმიანობის უზრუნველყოფა, კონვენციის იმპლემენტაციასთან და მონიტორინგთან დაკავშირებით.</p>	<p>33.6 სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან, განსაკუთრებით შმმ პირებთან და შმმ პირთა წარმომადგენლობით ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობის საფუძვლზე, ჩარჩოს შექმნა, რომელიც ხელს უწყობს, იცავს და უზრუნველყოფს კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგს:</p> <ul style="list-style-type: none"> - მათ შორის, ერთი ან მეტი დამოუკიდებელი მექანიზმ(ებ)ი^{iv}, რომელიც განსაზღვრულია კონსტიტუციის ან კანონმდებლობის დონეზე; და - რომელიც პატივს სცემს ადამიანის უფლებების დაცვასა და ხელშეწყობაზე მომუშავე ეროვნული ინსტიტუტების ფუნქციონირებასა და სტატუსთან დაკავშირებულ პრინციპებს^v (მოიცავს მდგრადი განვითარების 16.a.1 ინდიკატორს)^{vi} <p>33.7 კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნა საბიუჯეტო რესურსების ხარჯვასთან დაკავშირებით მარკერის (ნიშნულის) შექმნის თაობაზე, რომლის მიზანია მონიტორინგის ჩარჩოს მექანიზმ(ებ)ის საქმიანობის უზრუნველყოფა, კონვენციის იმპლემენტაციასთან და მონიტორინგთან დაკავშირებით.</p>	<p>33.8 სამართლებრივი ან ადმინისტრაციული დებულება/დებულებები, რომელიც ადგენს ინკლუზიურ და მისაწვდომ პროცედურებს და მექანიზმებს კონვენციის იმპლემენტაციასა და მონიტორინგში შმმ პირების, მათ შორის, შმმ ბავშვების და მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციების ჩართულობისთვის, შმმ პირთა ყველა ჯგუფში.^{vii} (მსგავსად 1/4.9)</p> <p>33.9 სამართლებრივი დებულება/დებულებები, რომელიც ადგენს ეროვნული ბიუჯეტიდან სახსრების გამოყოფის მოთხოვნას, შმმ პირთა ორგანიზაციების გასაძლიერებლად ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, რათა მათ შეძლონ კონვენციის განხორციელების მონიტორინგში მონაწილეობის მიღება.^{viii} (მსგავსად 1/4.11)</p>

	კონვენციის დაკავშირებით.	განხორციელებასთან		
პროცესი	<p>33.10 იმ საჯარო მოხელეების რაოდენობა და პროპორციული წილი, რომლებიც წარმოადგენენ საკონტაქტო უწყებებს და/ან საკოორდინაციო მექანიზმს და რომელთაც გაიარეს მომზადება CRPD კონვენციის შესახებ.^{ix}</p> <p>33.11 ტრენინგებისა და ცნობიერების ასამაღლებელი აქტივობების რაოდენობა და სახელმძღვანელო დოკუმენტების გავრცელება შესაბამის საჯარო მოხელეებს შორის, არსებული საკონტაქტო უწყებ(ებ)ისა და საკოორდინაციო მექანიზმის, მათი მანდატის და ჩართულობის პროცედურების/პროტოკოლების შესახებ.</p>	<p>33.12 კონვენციის პოპულარიზაციის მიზნით განხორციელებული აქტივობების, მათ შორის, ცნობიერების ასამაღლებელი აქტივობების, შესაძლებლობის განსავითარებელი და სასწავლო ინიციატივების ტიპი და რაოდენობა, რომელიც მონიტორინგის დამოუკიდებელი ჩარჩოს მიერ ხორციელდება, დეტალიზებული სამიზნე აუდიტორიის მიხედვით (მაგ. ფართო საზოგადოება, საჯარო მოხელეები და ა.შ.).^x</p> <p>33.13 კანონპროექტების, პოლიტიკის, სტრატეგიების, ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების და სხვა ადმინისტრაციული აქტების რაოდენობა, რომელიც განხილული იქნა მონიტორინგის დამოუკიდებელი ჩარჩოს მიერ, დეტალიზებული პროცესის ტიპის მიხედვით და იმის მიხედვით, აღნიშნული განხორციელდა თუ არა მოთხოვნის საფუძველზე.</p> <p>33.14 მონიტორინგის ჩარჩოს მექანიზმ(ებ)სა და ეროვნული და/ან ადგილობრივი სტატისტიკის სამსახურებს შორის ფორმალური თანამშრომლობის შეთანხმებების გაფორმება, ინფორმაციის გაზიარების, ორმხრივი ტექნიკური კონსულტაციის და ა.შ. ჩათვლით, უფლებების, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების მონიტორინგისა და დაცვის გასაუმჯობესებლად.^{xi}</p> <p>33.15 მონიტორინგის აქტივობების ტიპი და რაოდენობა, მათ შორის, ინსტიტუციებში და შშმ პირთა თავისუფლების აღკვეთის (რეგულაციის თანახმად ან დე-ფაქტოდ) სხვა დაწესებულებებში განხორციელებული ვიზიტები, შშმ პირებისათვის სერვისების მიმწოდებელთა ობიექტების ინსპექცია, მიღებული კანონებისა და პოლიტიკის შეფასება.</p> <p>33.16 იმ ანგარიშების რაოდენობა და პროპორციული წილი, რომელიც გამოიცა დამოუკიდებელი მონიტორინგის ჩარჩოს მიერ, მათ შორის, საერთაშორისო და რეგიონული მონიტორინგის მექანიზმებისათვის (მაგ. CRPD კომიტეტი და სხვა სახელშეკრულებო ორგანო)</p>	<p>33.17 სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციებს შორის განაწილებული სახსრები, მონიტორინგის ღონისძიებებში მათი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად (მსგავსად 1/4.16).</p> <p>33.18 შესაძლებლობების განვითარების ღონისძიებების რაოდენობა, რომელსაც აფინანსებს სახელმწიფო, შშმ პირთა ორგანიზაციების შესაძლებლების გასამართებლად, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ მონიტორინგის ღონისძიებებში.</p> <p>33.19 მონიტორინგის პროცესების/ღონისძიებების რაოდენობა და პროპორციული წილი, რომელშიც მონაწილეობის მიღება შეუძლია შშმ პირთა ორგანიზაციებს, დეტალიზებული ინტერვენციის/პროცესის ტიპის და თემის მიხედვით.</p>	

		წარდგენილი კონტრიბუციები, რომელიც შშმ პირთა უფლებებს შეეხება.	
შედეგი	<p>33.20 შეხვედრების რაოდენობა საკონტაქტო უწყება(ებ)სა და საკომუნიკაციო მექანიზმს შორის, ან სამინისტროებსა ან სამთავრობო სტრუქტურებში შექმნილ კომიტეტებთან/ სამუშაო ჯგუფებთან, კონვენციის განხორციელებასთან დაკავშირებით.</p>	<p>33.21 იმ პირების ან ორგანიზაციების რაოდენობა, რომელებმაც კონვენციით გათვალისწინებული უფლებების და დაცვის თაობაზე დახმარებისთვის მიმართეს დამოუკიდებელი მონიტორინგის ჩარჩოს; და მონიტორინგის დამოუკიდებელი ჩარჩოს მიერ, შშმ პირების შესახებ, მართლმსაჯულების სისტემაში გადამისამართებული ინდივიდუალური ან კოლექტიური საქმეების რაოდენობა და პროპორციული წილი.^{xii}</p> <p>33.22 ასეთის არსებობის შემთხვევაში, ^{xiii} იმ ინდივიდუალური ან ჯგუფური საჩივრების რაოდენობა და პროპორციული წილი, რომელიც წარედგინა მონიტორინგის ჩარჩოს მექანიზმ(ებ)ს კონვენციის დარღვევასთან დაკავშირებით, რომელიც გამოძიებულ იქნა და გადაწყვეტილება იქნა მიღებული; აქედან მომჩივნის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილებების პროპორციული წილი; და იმ გადაწყვეტილებების პროპორციული რაოდენობა, რომლებიც აღსრულდა შესაბამისი საჯარო/პასუხისმგებელი უწყების მიერ. ^{xiv}</p>	<p>33.23 შშმ პირთა წარმომადგენლობითი ორგანიზაციების რაოდენობა, რომლებიც მონაწილეობენ დამოუკიდებელი მონიტორინგის ჩარჩოში, დეტალიზებული შშმ პირთა ორგანიზაციის ტიპის,^{xv} წარმოდგენილი შშმ პირთა ჯგუფებისა და გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით.</p> <p>33.24 პირთა წარმომადგენლობითი ორგანიზაციების რაოდენობა, რომელთაც როლი აქვთ საკონტაქტო უწყების ან/და საკომუნიკაციო მექანიზმის მუშაობაში, დეტალიზებული ორგანიზაციის ტიპის,^{xvi} წარმოდგენილი შშმ პირთა ჯგუფებისა და გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით.</p>

დანართი

*მუხლი 33.3 შეიცავს შემდეგ მითითებას: “სამოქალაქო საზოგადოება, კერძოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციები”; თუმცა, არსებითი და პრაქტიკული მიზეზების გამო, წინამდებარე ინდიკატორები ყურადღებას ამახვილებს შშმ პირთა ორგანიზაციებზე. იხილეთ გაეროს კომიტეტის [ზოგადი კომენტარი N7](#), კონვენციის 4(3) და 33(3) მუხლებზე, და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებზე სპეციალური მომსხენებლის ანგარიში მონაწილეობაზე [A/HRC/31/62](#).

ⁱ ერთი ან მეტი ზოგადი ან ძირითადი საკონტაქტო უწყების გამოყოფისას ან სამინისტროში/უწყებაში საკონტაქტო პირის გამოყოფისას, განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს შეზღუდული შესაძლებლობის სოციალური მოდელის, დისკრიმინაციის დაუშვებლობისა და ადამიანის უფლებების შესახებ ცოდნაზე. ამასთან, საკონტაქტო უწყებას, რომელიც ფუნქციონირებს სამინისტროს სტრუქტურაში (მაგალითად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამსახური) ან სამინისტროს ეგიდით (მაგალითად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სააგენტო) უნდა გააჩნდეს საკმარისი უფლებამოსილება, რათა გავლენა მოახდინოს გადაწყვეტილების მიღების პროცესზე. უნდა აღინიშნოს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის საკითხებზე მომუშავე უწყებების შექმნა მთავრობის ხელმძღვანელობით, მათ შორის, შშმ პირთა წარმომადგენლობითი ორგანიზაციების შექმნა, სახელმწიფოს არ ანთავისუფლებს მე-4(3) მუხლით გათვალისწინებული მოვალეობისგან, შშმ პირებთან მჭიდრო კონსულტაციის თაობაზე, მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციების მეშვეობით, იმ კანონმდებლობებისა და პოლიტიკის შემუშავების და იმპლემენტაციის პროცესში, რომელიც პირდაპირ ან ირიბ გავლენას ახდენს მათ ცხოვრებაზე.

ⁱⁱ საკომუნიკაციო მექანიზმს უნდა ჰქონდეს მინიჭებული მანდატი, რომლის საფუძველზეც შეასრულებს მე-4, 31-ე და 32-ე მუხლებით გათვალისწინებულ ზოგად და კონკრეტულ მოვალეობებს, იმ მოვალეობებზე დამატებით, რომელსაც ითვალისწინებს 5-30 მუხლები და რომელიც შეეხება საერთაშორისო მონიტორინგს.

ⁱⁱⁱ შშმ პირთა ორგანიზაციებთან დაკავშირებით, აღნიშნული ინდიკატორი, ასევე, ხელს უწყობს სახელმწიფოს მიერ CRPD კონვენციის 4.3-ე მუხლით გათვალისწინებული მოვალეობების შესრულების შეფასებას და გათვალისწინებული უნდა იქნას 1-4 მუხლების შესაბამის ინდიკატორებთან ერთად.

^{iv} ჩარჩოს დადგენისას სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ შემდეგი კრიტერიუმები:

- იმ შემთხვევაში, თუ ჩარჩოს ფარგლებში მონიტორინგის მექანიზმის ფუნქციას ასრულებს ერთი უწყება: იგი დამოუკიდებელი უნდა იყოს აღმასრულებელი ხელისუფლებისგან და პარიზის პრინციპებს უნდა აკმაყოფილებდეს.
- იმ შემთხვევაში, თუ ჩარჩო შედგება ერთი ან მეტი მექანიზმისგან, თითეული უნდა იყოს აღმასრულებელი ხელისუფლებისგან დამოუკიდებელი და, როგორც მინიმუმ, პარიზის პრინციპებს უნდა აკმაყოფილებდეს.

იხილეთ გაროს კომიტეტის გაიდლაინები დამოუკიდებელი მონიტორინგის ჩარჩოზე და მათ მონაწილეობაზე კომიტეტის მუშაობაში (2016), იხ. დოკუმენტი: [Annex to CRPD Rules of Procedure - CRPD/C/1/Rev.1](#), პარაგრაფი 12.

^v მონიტორინგის დამოუკიდებელი ჩარჩოს მექანიზმ(ები):

- უნდა იყოს აღმასრულებელი ხელისუფლებისგან დამოუკიდებელი;
- უნდა ჰქონდეს სათანადო დაფინანსება და რესურსები (შესაბამისი ტექნიკური გამოცდილების მქონე თანამშრომლები), რისი უზრუნველყოფაც უნდა მოხდეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების გამოყოფითა და დაგეგმვასა და მართვაში ავტონომის მინიჭებით;
- მისი წევრების დანიშვნა უნდა მოხდეს საჯარო, დემოკრატიული, გაჭირვალე და მონაწილეობითი ფორმით. მათ უნდა ჰქონდეთ კონკრეტული ვადით მოქმედი სტაბილური მანძატი;
- გათვალისწინებული უნდა იქნას შშმ პირთა ორგანიზაციების წარმომადგენლობის უზრუნველყოფა (იხ. "პარიზის პრინციპები", ნაწილი "შემადგენლობა და დამოუკიდებლობისა და პლურალიზმის გარანტიები", 1(a)).
- უნდა ჰქონდეს სტაბილური ინსტიტუციონალური საფუძველი (კონსტიტუციური ან სამართლებრივი), რომელიც მათ სათანადო და მდგრად საქმიანობას უზრუნველყოფს;
- უნდა სარგებლობდეს ავტონომიით ისეთი საკითხების განხილვისას და გადაწყვეტილების მიღებისას, რომელიც მისი უფლებამოსილების სფეროში შედის;
- უნდა ჰქონდეს სწრაფი და სრულფასოვანი წვდომა ინფორმაციაზე, მონაცემთა ბაზებზე, ჩანაწერებზე, ობიექტებსა და ტერიტორიებზე, როგორც ქალაქი, ისე სოფლად ან შორეულ ტერიტორიებზე;
- უნდა სარგებლობდეს ნებისმიერ ადამიანთან, დაწესებულებებთან, ორგანიზაციებთან და სახელმწიფო ორგანოებთან ან დაწესებულებებთან შეუზღუდავი ინტერაქციით და წვდომით;
- უნდა უზრუნველყოფდეს თანამშრომლებისადვის უწყვეტი ტრენინგების ხელმისაწვდომობას;

- უნდა შეეძლოს კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის შესახებ ინდიკიდუალური ან ჯგუფური საჩივრების მოსმენა და განხილვა.

^{vi} აღნიშნული ინდიკატორი უკავშირდება CRPD კონვენციის 33(2) მუხლს და ითვალისწინებს მდგრადი განვითარების 16.a.1 ინდიკატორს - "ადამიანის უფლებათა დამოუკიდებელი ინსტიტუტების არსებობა, პარიზის პრინციპების შესაბამისად." იხ. ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტის გლობალური ალიანსი, აკრედიტაციის ქარტია, ხელმისაწვდომია [აქ](#).

^{vii} დებულებები უნდა ითვალისწინებული დამოუკიდებელი მონიტორინგის ჩარჩოს წევრებისა და თანამშრომელთა მიერ სამოქალაქო საზოგადოების ჩართვას მონიტორინგის ღონისძიებების დაგეგმვასა და იმპლემენტაციაში. მაგალითად, მონიტორინგის დამოუკიდებელი ჩარჩოს ან ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების თანამშრომლებმა უნდა უზრუნველყონ ინკლუზიური და მისაწვდომი საკონსულაციო პროცესები პრიორიტეტების განსაზღვრისა და მონიტორინგის ღონისძიებების დასაგეგმად; რაც შეეხება ერთობლივ საქმიანობებს, შშმ პირთა ორგანიზაციები და სამოქალაქო საზოგადოებები მიწვეული უნდა იქნას შშმ პირთა რეზიდენტული დაწესებულებების (ინსტიტუციების) სერვისების შემოწმების პროცესში მონაწილეობის მისაღებად, შშმ პირთა უფლებების დარღვევების გამოვლენის მიზნით.

^{viii} დაფინანსების სქემა არ უნდა უქმნიდეს საფრთხეს შშმ პირთა ორგანიზაციების დამოუკიდებლობას, მონიტორინგის ღონისძიებებში წვლილის შეტანის კუთხით.

^{ix} ტრენინგები უნდა ითვალისწინებდეს, როგორც მინიმუმ, კონვენციის ზოგად მიმოხილვას და მირითად პრინციპებსა და კონცეფციებს, მათ შორის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომას შეზღუდულ შესაძლებლობასთან მიმართებაში, დისკრიმინაციის დაუშვებლობას და გონივრულ მისადაგებას, უნივერსალურ დიზაინს, მისაწვდომობას (ინფორმაციასა და კომუნიკაციაზე მისაწვდომობის ჩათვლით), შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციების აქტიური ჩართულობისა და მათთან კონსულტაციების ვალდებულებას და კონვენციის იმ სფეროების სიღრმისეულ მიმოხილვას, რომელიც თითეული საკონტაქტო უწყებისთვის რელევანტურია (მაგალითად, განათლების სამინისტროს შემთხვევაში, ყურადღება უნდა გამახვილდეს კონვენციის 24-ე მუხლზე, რომელიც ინკლუზიური განათლების უფლებას შეეხება).

^x აღნიშნული და შემდგომი პროცესის და შედეგის ინდიკატორები, რომელიც მოცემულია "დამოუკიდებელი მონიტორინგის ჩარჩოს" ქვეშ, მიზნად ისახავს, ჩარჩოს ფარგლებში, დამოუკიდებელი მექანიზმების მიერ განხორციელებული აქტივობების შედეგად მანდატების შეფასებას.

^{xii} მაგალითად, ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებსა და სტატისტიკის ეროვნულ სამსახურებს შორის, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფიციალური მხარდაჭერით გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმი (მაგ.: კენიასა და პალესტინაში). ურთიერთგაგების მემორანდუმის ნიმუშზე დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, დაუკავშირდით: hrindicators@ohchr.org

^{xiii} გადამისამართებებისა და ჯგუფური საჩივრების კატეგორიზება უნდა მოხდეს დარღვეული უფლების/მუხლის მიხედვით და ასაკის, სქესის, შეზღუდული შესაძლებლობის და სხვა რელევანტური კრიტერიუმის მიხედვით, რათა მოხდეს ტენდენციების იდენტიფიცირება და მათზე რეაგირება, განსაკუთრებით იმ ტენდენციებისა, რომელიც გავლენას ახდენს ყველაზე მარგინალიზებული ჯგუფების წარმომადგენელ შშმ პირებზე.

^{xiv} "პრინციპები, რომელიც უკავშირდება ადამიანის უფლებათა დაცვისა და ხელშეწყობის ეროვნული ინსტიტუტების სტატუსს და ფუნქციონირებას" ითვალისწინებს, რომ სასურველია, აღნიშნულ ინსტიტუტებს მიენიჭოთ საჩივრების განხილვის უფლებამოსილება: "ეროვნულ ინსტიტუტს, შესაძლოა, მიენიჭოს ინდივიდუალური სიტუაციების შესახებ საჩივრებისა და პეტიციების მოსმენის და განხილვის უფლებამოსილება. საჩივრის აღმდეგ უნდა შეეძლოს ფიზიკურ პირს, მის წარმომადგენელს, მესამე მხარეს, არა-სამთავრობო ორგანიზაციას, პროფესიონალურ სამსახურს ან ნებისმიერ სხვა წარმომადგენლობით ორგანიზაციას."

^{xv} ინდივიდუალური და ჯგუფური საჩივრების კატეგორიზება უნდა მოხდეს დარღვეული უფლების/მუხლის მიხედვით და ასაკის, სქესის, შეზღუდული შესაძლებლობის და სხვა რელევანტური კრიტერიუმის მიხედვით, რათა მოხდეს ტენდენციების იდენტიფიცირება და მათზე რეაგირება, განსაკუთრებით იმ ტენდენციებისა, რომელიც გავლენას ახდენს ყველაზე მარგინალიზებული ჯგუფების წარმომადგენელ შშმ პირებზე.

^{xvi} მათ შორის ცალსახად მოცემული ინფორმაცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების, ბავშვებისა და ახალგაზრდების ორგანიზაციებზე, და არასაკმარისად წარმოდგენილ ჯგუფებზე, როგორიცაა ადგილობრივი მკვიდრი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები. იხილეთ კონვენციის 4(3) და 33(3) მუხლების შესახებ [ზოგადი კომენტარი N7](#).

^{xvii} მათ შორის ცალსახად მოცემული ინფორმაცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების, ბავშვებისა და ახალგაზრდების ორგანიზაციებზე, და არასაკმარისად წარმოდგენილ ჯგუფებზე, როგორიცაა ადგილობრივი მკვიდრი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები. იხილეთ კონვენციის 4(3) და 33(3) მუხლების შესახებ [ზოგადი კომენტარი N7](#).